სსიპ კოლეჯი

„მ ე რ მ ი ს ი“

2024 წლის ანგარიში

კოლეჯის განვითარება

სსიპ-კოლეჯი ,,მერმისი“ მუდმივად ორიენტირებულია მართვის ხარისხის განვითარებაზე, პროფესიულ სტუდენტთა სწავლა-სწავლების ხარისხისა და კოლეჯის პერსონალისა და რესურსების მართვის გაუმჯობესებაზე, კოლეჯში უსაფრთხო, თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და პროდუქტიული გარემოს შექმნასა და მაღალი ორგანიზაციული კულტურის განვითარებაზე.

სსიპ-კოლეჯმა ,,მერმისი“ 2024 წელი სასიამოვნო სიახლეებით დაიწყო. ამის დასტურია, ის რომ სსიპ კოლეჯი ,,მერმისი" პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2023-ის გამარჯვებული გახდა ნომინაციაში: წლის პროფესიული განათლების პროგრამა - სამკერვალო წარმოება.

კოლეჯის დირექტორს ნონა ღუდუშაურს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გიორგი ამილახვარმა გადასცა სპეციალური პრიზი და სმარტ დაფა.

სმარტ დაფა დამონტაჟდა კოლეჯის ერთ-ერთ სამკერვალო სახელოსნოში.

დაფას წარმატებით იყენებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“ მასწავლებლები ქალის, მამაკაცის და ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუირების მოდულების განხორციელების პროცესში.

სმარტ დაფის გამოყენება ,,სამკერვალო წარმოების" პროგრამის მოდულების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია პროგრამის დიგიტალიზაციის მიმართულებით.



საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა ,,მერმისი" კიდევ ერთი წარმატებას მიაღწია, რომელიც მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს პროფესიული განათლების აღიარების მსურველთათვის.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით კოლეჯს მერმისი" მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების პროგრამების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების ფარგლებში არაფორმალური განათლების აღიარების უფლება.

აღნიშნული გადაწყვეტილებით არაფორმალური განათლების აღიარების მსურველ პირს შესაძლებლობა ექნება იღიაროს სწავლის შედეგები კოლეჯში განხორციელებულ 21 პროფესიულ საგანმანათლებლო და 12 პროფესიულ მომზადების პროგრამის ფარგლებში, რაც მათ ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურებას, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას, პიროვნულ განვითარებას, დასაქმების/თვითდასაქმების, კვალიფიკაციის მინიჭებას შეუწყობს ხელს.

საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა ,,მერმისი" რეგისტრაცია გაიარა ISATCOVE პლატფორმაზე, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო თვითშეფასების ინსტრუმენტს პროფესიული განათლების დაწესებულებებისთვის. ინსტრუმენტი სთავაზობს სიღრმისეულ ანალიზს პროფესიული განათლების პროვაიდერებს, რათა თავად დააკვირდნენ საკუთარ განვითარებას, პრაქტიკას, პროგრესსა და მისწრაფებებს.

ინსტრუმენტი შეიქმნა ETF-ის მიერ ინკლუზიური საკონსულტაციო პანელის მხარდაჭერით, რომელიც შედგება საერთაშორისო და ეროვნული პროფესიული პროფესიული განათლების ასოციაციების, ეროვნული სამინისტროების, Erasmus+ პროექტების, დონორების, EQAVET (ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის პროფესიული განათლებისა და სწავლების) და ETF-ის ქსელის წარმომადგენლებისგან.

შეფასების ჩარჩოს აქვს სამი მიმართულება: 1.სწავლება და სწავლა, 2.პარტნიორობა და კოორდინაცია, 3.მმართველობა და დაფინანსება.

სსიპ კოლეჯმა ''მერმისი'' საკუთარი საქმიანობა შეაფასა ISATCOVE პლატფორმის საშუალებით, რაც გულისხმობდა რამდეიმე ეტაპს:

1. თვითშეფასების მომზადება, დაგეგმვა და შემუშავება - თვითშეფასების ჯგუფის ჩამოყალიბება (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ადმინისტრაცია, გარე პარტნიორები, შიდა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები). თვითშეფასების ჯგუფის როლი შეფასების პროცესში: სამუშო განრიგის შედგენა, კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შერჩევა, დაინტერესებული მხარეების ჩართვა, თვისებრივრივი და რაოდენობრივი ინდიკატორების შესაბამისი სამიზნე ჯგუფისთვის, მიღებული მტკიცებულებების განხილვა და ანალიზი, ანალიზის შედეგად მიზნების განსაზღვრა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.
2. შეფასების ჯგუფმა სამივე მიმართულებიდან შეარჩია 198 ინდიკატორი. თითოეულ ინდიკატორს უპასუხა შესაბამისმა დაინტერესებულმა მხარემ (SAT, მოსწავლეები, მასწავლებლები, კურსდამთავრებულები, პარტნიორები).
3. შეფასების ჯგუფმა ასევე შეაფასა 23 კრიტერიუმი რაც გულისხმობდა თითოეული კრიტერიუმის ათბალიან შეფასებას (1-ყველაზე დაბალი, 10-ყველაზე მაღალი) და მინიჭებული ქულის დასაბუთებას.
4. ISATCOVE-ის თვითშეფასების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, დაწესებულებამ განსაზღვრა მიზნები და პრიორიტეტები სტრატეგიების შემუშავებისთვის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. შესაბამისად კოლეჯმა შეიმუშავა განვითარების გეგმა, რომელშიც ასახულია კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, გონივრულ დროში გაწერილი მიზნები. გეგმაში გათვალისწინებულია მონიტორინგი და ექვემდებარება კორექტირებას საჭიროების შემთხვევაში.

ISATCOVE პლატფორმაზე რეგისტრაცია გაიარა: სტაფი - 7, ადმინისტრაცია - 18, 52-პროფესიული განათლების მასწავლებელმა, 268 - პროფესიულმა სტუდენტმა, 21 - კურსდამთავრებულმა და 9 დამსაქმებელმა.

საანგარიშო წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი - სერვისები და კომპეტენცია ინტერვენცია - ,,მწვანე კვალიფიციური სამუშაო ძალის შექმნა T&A ინდუსტრიაში კონკურენტუნარიანობისა და სექტორის ზრდისთვის აღმოსავლეთ პერტნიორობის რეგიონში“. პროგრამა RECONOMY ფინანსდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sda) მიერ და ახორციელებს HELVETAS Swiss Intercooperation (Helvetas) მიერ. პროგრამა მიზნად ისახავს კონკურენტიანი და მზარდი ბიზნესის სტიმულირებას შესაბამისი და ხელმისაწვდომი სერვისების, კვალიფიციური სამუშაო ძალის გამოყენებას, ეკონომიკურ შესაძლებლობებს - უკეთესი შემოსავალი და ღირსეული სამუშაო ადგილები - ქალებისათვის, ახალგაზრდებისათვის და სხვა ყველაზე დაუცველი და გარიყული ჯგუფებისათვის ინკლუზიური და მდგრადი გზით.

ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში კოლეჯის პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება“ მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები მწვანე უნარების და კომპეტენციების გამომუშავების მიზნით.

პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის, პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების დანერგვისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, განხორციელდა მასწავლებელთა საერთაშორისო ვიზიტები.

სსიპ კოლეჯის „მერმისი“ სტუმართმასპინძლობის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ დარგობრივი მოდულების პროფესიული მასწავლებლები მანანა ალადაშვილი და თინა დოლიძე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით, იმყოფებოდნენ იტალიაში, ქალაქ კომოში, ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის სკოლაში „კომეტა“, ასევე ინჟინერიის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ძრავას შეკეთება“ დარგობრივი მოდულების პროფესიული მასწავლებელი ივანე ჩუტკერაშვილი იმყოფებოდა ლატვიაში, ქ. ვესპილსში, ვესპილსის ტექნიკურ სასწავლებელში, და პროფესიული განათლების მასწავლებელი იზაბელა ფერიშვილი Erasmus პროექტის ფარგლებში სასწავლო ვიზიტით მივლინებულ იქნა სომხეთში, დილიჟანში

ვიზიტის ფარგლებში მიღებული ცოდნა და გამოცდილება პროფესიულმა მასწავლებლებმა რეპლიკაციისათვის პრეზენტაციის სახით გაუზიარეს კოლეჯის „მერმისი“ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროფესიულ მასწავლებლებს და სხვა კოლეჯების მასწავლებლებს. შეხვედრას ესწრებოდნენ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენლები.

ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციების გაძლიერების მიზნით დაგეგმილ საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებში მონაწილეობის მიზნით, ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ მონაწილედ შერჩეულ იქნა კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი, მაია დანელია.

კოლეჯი ,,მერმისი“ ბოლო სამი წლის განმავლობაში უწყვეტად აგრძელებს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ექსტრაკურიკულური აქტივობების ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის მიღებას.

,,სტუდენტური და პრესტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ,,პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა და განვითარება“ კოლეჯმა ,,მერმისი“ კვლავ გაიმარჯვა ორ პროეტში: „ურბანელ ფერმერთა ჰაბი" და „ინგლისურენოვან მკითხველთა კლუბი-LAB’’ .

საანგარიშო პერიოდში სსიპ კოლეჯმა "მერმისი' გაიმარჯვა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს საგრანტო კონკურსში ,,ციფრული საგანმანათლებლო რესურსების განვითარების ხელშეწყობა პროფესიულ განათლებაში“ ორი პროექტით: "ციფრული footprints" და "ტურიზმი და სტუმარმასპინძლობა".

ასევე კოლეჯმა ,,მერმისი“ მოიპოვა უფლება ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების ,,პროფესიულ განათლებაში ინოვაციური მართვისა და სწავლა/სწავლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ციფრული საგანმანათლებლო რესურსის ,,შიდა წვის ძრავების კლასიფიკაცია“ შექმნის უფლება.

კოლეჯის ,,მერმისი“ მორიგი წარმატების მაგალითია საერთაშორისო დონეზე კოლეჯის წარმატებული ინტეგრირების უზრუნველყოფა პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული და პიროვნული განვითარებისთვის. აღსანიშნავია ,,მერმისის“ პირველი თანამშრომლობა ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში.

პროფესიული უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობით პროექტის (INVEsT in you: promote international traineeship programs for Armenian, Georgian and Moldovan students in Central Europe. IN-VET) ფარგლებში, მიმდინარე წლის 3 ივლისიდან 17 სექტემბრამდე კოლეჯი ,,მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის ხელოვნება“ სტუდენტები ლუკა მახარაძე, ნიკოლოზ ნამგალაძე და საბა გრიგალაშვილი იმყოფებიან უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში, თანამშრომლობენ სასტუმრო ESTILO-სთან და იმაღლებენ კვალიფიკაციას სტუმარმასპინძლობის მიმართულებით. უცხო ქვეყანაში მიღებული პრაქტიკული გამოცდილება ხელს შეუწყობს, რომ სტუდენტები ჩამოყალიბდნენ კვალიფიციურ და კონკურენტუნარიან კადრებად.

ასევე სსიპ კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ პროფესიული სტუდენტები საბა გრიგალაშვილი და ნიკოლოზ ნამგალაძე 11-14 ნოემბერს პროექტის "იდეათონი"-ს ფარგლებში იმყოფებოდნენ მოლდოვეთის რესპუბლიკაში ქ. კიშინიოვში.

"იდეათონი" წარმოადგენს საერთაშორისო პლატფორმას, სადაც მონაწილე სტუდენტები გამოიმუშავებენ ინოვაციური იდეებს სხვადასხვა სფეროში - ტექნოლოგიები, მეწარმეობა, გარემოს დაცვა, სოციალური განვითარება და ა.შ.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს შორის კულინარიული კონკურსში 2024, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით შედგა და მთელი საქართველოს მაშტაბით 12 სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები მონაწილეობდნენ, მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ,,მერმისის“ კულინარიის ხელოვნების პროფესიულმა სტუდენტმა - იაგო ელოშვილმა.

კონკურსის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული განათლებისა და კულინარიის, როგორც პროფესიის პოპულარიზებაა. ასევე, უნარებისა და კომპეტენციების მაღალი სტანდარტის განვითარების ხელშეწყობა და ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

კოლეჯი ,,მერმისი“ მონაწილეობს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ მოდის კონკურსში, რომელშიც ჩართულები არიან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება“ პროფესიული მასწავლებლები, დიზაინერი ალექსანდრე ახალკაციშვილი.

კონკურსის მიზანია პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, კერძო სექტორის დაახლოება კოლეჯებთან; დარგისადმი სტუდენტების მოტივაციის ამაღლება.

გამარჯვებულს ეძლევა შესაძლებლობა, გაიაროს სტაჟირება ან დასაქმდეს პროფესიით, საქართველოში არსებულ, წარმატებულ დიზაინერებთან/სამოდელო სახლში.

- **თანამედროვე შრომის ბაზრის შესაბამისად ახალი პროგრამის დამატება**

სსიპ-კოლეჯის ,,მერმისი“ მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

თანამედროვე შრომის ბაზარი სწრაფად იცვლება ტექნოლოგიური პროგრესის, გლობალიზაციისა და ახალი სამუშაო მოდელების გამო. ამ ცვლილებებთან ადაპტაციისთვის ახალი პროგრამების შემუშავება და დანერგვა სჭირდებათ.

ახალი პროგრამების შემუშავება და დანერგვა კოლეჯისათვის გრძელვადიანი წარმატების მნიშვნელოვანი გასაღებია. ამ პროცესის წარმატებით დასრულებისთვის აუცილებელია შრომის ბაზრის ტენდენციების ღრმა ანალიზი, კოლეჯის საჭიროებების გათვალისწინება და თანამშრომელთა ჩართულობა.

კოლეჯი ,,მერმისი“ მუდმივად ორიენტირებულია განვითარებაზე და სწავლის მსურველ პირებს სთავაზობს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნად ყოველწლიურად განახლებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. 2024 წლის საანგარიშო პერიოდში ,,მერმისმა“ ახალი სტანდარტების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ,,სასტუმრო მომსახურება", ,,სარესტორნო მომსახურება", ,,მოდის ტექნოლოგია და დიზაინი", „ადმინისტრაციული სერვისები“, "გრაფიკული დიზაინი", „ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია“ და „Front-end დეველოპმენტი“ შეიმუშავა.

პროფესიული განათლების მაღალი ხარისხი ინდივიდებს მისცემს შესაძლებლობას, გააკეთონ საუკეთესო არჩევანი თავიანთი კომპეტენციებისა და შესაძლებლობების განსავითარებლად, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისი სამუშაო ძალის განვითარებას და პიროვნებას მისცემს საშულებას რეალიზდნენ საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

ასევე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯის განვითარების კუთხით განხორციელებული იქნა შემდეგი აქტივობები:

- ✓ შეტანილ იქნა ცვლილებები კოლეჯის ნორმატიულ დოკუმენტში - შინაგანაწესში, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში, საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის წესსა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესში, „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი“.
- ✓ შემუშავებული და დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა და ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი;

✓ გაიზარდა როგორც კოლეჯის დირექციის, ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ასევე პროფესიულ განათლების მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურება;

✓ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა გამოკითხვები და მეცადინეობეზე დასწრება, საჭიროების შემთხვევაში გაიცა რეკომენდაციები;

✓ განახლებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადების პროგრამების კატალოგი.

<u>პროფესიული განათლების რეფორმების კვალდაკვალ პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების დამატება</u>

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების დანერგვამ არსებითად გაზარდა ახალგაზრდების ჩართულობა პროფესიულ განათლებაში, გამომდინარე იქიდან, რომ მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სისტემამ შესთავაზოს საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისი სერვისები ზრდასრულ მოსახლეობასაც.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მიწოდება ზრდასრული მოსახლეობისათვის წარმოადგენს ქმედით ინსტრუმენტს მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზარზე წარმატებული ინტეგრაციისათვის.

საანგარიშო პერიოდში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით სსიპ კოლეჯმა „მერმისი“ მოიპოვა პროფესიული მომზადების პროგრამის „სურსათის უვნებლობისა და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული უზრუნველყოფა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში“ განხორციელების უფლება.

პროგრამის მიზანია მოკლე ვადაში მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტები, რომლებსაც ეცოდინებათ წარმოების სხვადასხვა ეტაპზე სურსათის უვნებლობის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, საწარმოებში ჰიგიენისა (GHP) და წარმოების კარგი პრაქტიკა (GMP), საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა (HACCP). მსმენელები შეძლებენ რძისა და პურ-პროდუქტების საშუალო სინჯის აღებას, მათ ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრას.

პროფესიული მომზადების პროგრამის „ქართული ფარდაგის და ხალიჩის ქსოვა“ 2024 წლის 02 ივნისს განხორციელების 3 წლიანი ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით კოლეჯმა პროგრამა 3 წლიანი ვადით დადასტურების გზით დაიმატა (ბრძანება MES 5 24 0000621023).

კონტიგენტის მოძრაობა

2024 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია გამოცხადდა ორჯელ - გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

2024 წლის გაზაფხულზე კოლეჯმა „მერმისი“ კოლეჯმა მიღება გამოაცხადა 15 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 406 ვაკანტურ ადგილზე, ასევე 54 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის, მათ შორის სამ პროგრამაზე: გრაფიკული

დიზაინის შესრულება, ვებტექნოლოგიები და სარესტორნო მომსახურება, რომელშიც ინტეგირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

კოლეჯმა გაითვალისწინა სწავლის მსურველ პირთა ინტერესები და მისაღები ადგილების რაოდენობა გაზარდა 415 აპლიკანტით.

2024 წლის საგაზაფხულო მიღების სტუდენტთა სტატისტიკა

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროგრამის ტიპი	მისაღები სტუდენტების რაოდენობა		რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა		ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა	
			სტუდენტები	სსსმ სტუდენტები	აპლიკანტები	სსსმ აპლიკანტები	სტუდენტები	სსსმ სტუდენტები
1	კულინარიის ხელოვნება	მოდულური	66	9	260	13	54	8
2	კონდიტერია	მოდულური	16	2	181	12	16	1
3	ელექტროობა	მოდულური	40	6	114	3	20	
4	იატაკისა და ფილის სამუშაოები	მოდულური	16	2	61	5	12	1
5	თმის მომსახურება	მოდულური	40	6	86	7	15	1
6	სამკერვალო წარმოება	მოდულური	60	9	107	5	29	1
7	მომინანქრება	მოდულური	32	2	75	8	8	2
8	მხატვრული ქსოვა	მოდულური	15	2	43	1	5	
9	ძრავას შეკეთება	მოდულური	20	3	70	1	19	1
10	თექის დამზადება	მოდულური	17	2	37	4	3	2

11	გრაფიკული დიზაინის შესრულება	ინტეგრირებული	23	3	102	4	23	1
12	სარესტორნო მომსახურება	ინტეგრირებული	26	3	54	1	15	1
13	ვებტექნოლოგიები	ინტეგრირებული	17	2	97	4	17	2
14	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობების წარმოება	მოდულური	16	2	36	6	2	2
15	ხის მხატვრული დამუშავება	მოდულური	11	1	42	4	5	1
	სულ ჯამი		**415**	**54**	**1365**	**78**	**243**	**24**

საგაზაფხულო მიღებაზე ჩარიცხულმა 5 პროფესიულმა სტუდენტმა, გამომდინარე იქიდან რეგისტრაციისას საგამოცდო ენად აირჩია მშობლიური ენა: რუსული, აზერბაიჯანული და სომხური, სწავლა უნდა დაიწყონ ქართული ენა A2 მოდულით.

2024 წლის შემოდგომაზე კოლეჯმა ,,მერმისი“ კოლეჯმა მიღება გამოაცხადა 12 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 230 ვაკანტურ ადგილზე, ასევე 26 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის.

კოლეჯმა გაითვალისწინა სწავლის მსურველ პირთა ინტერესები და მისაღები ადგილების რაოდენობა გაზარდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი“ გაზარდა 2 აპლიკანტით.

2024 წლის საშემოდგომო მიღების სტუდენტთა სტატისტიკა

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროგრამის ტიპი	მისაღები სტუდენტების რაოდენობა		რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა		ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა	
			სტუდენტები	სსსმ სტუდენტები	აპლიკანტები	სსსმ აპლიკანტები	სტუდენტები	სსსმ სტუდენტები
1	ელექტროობა	მოდულური	20	3	118	3	19	

2	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი	მოდულ ური	22	3	102	3	23	2
3	თმის მომსახურება	მოდულ ური	20	3	81	7	20	1
4	სამკერვალო წარმოება	მოდულ ური	36	4	116	5	34	2
5	მომინანქრება	მოდულ ური	23	3	77	3	14	1
6	ხის მხატვრული დამუშავება	მოდულ ური	6	0	5		6	
7	მხატვრული ქსოვა	მოდულ ური	16	1	29		3	
8	სავალი ნაწილის შეკეთება	მოდულ ური	20	3	69	2	19	1
9	თექის დამზადება	მოდულ ური	16	1	28	2	4	1
10	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობების წარმოება	მოდულ ური	13	1	36	2	3	
11	მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	მოდულ ური	20	3	146	2	20	1
12	საოფისე საქმე	მოდულ ური	20	1	23		10	1
	სულ ჯამი		**232**	**26**	**876**	**29**	**175**	**10**

საშემოდგომო მიღებაზე ჩარიცხულმა 3 პროფესიულმა სტუდენტმა, გამომდინარე იქიდან რეგისტრაციისას საგამოცდო ენად აირჩია მშობლიური ენა: რუსული, აზერბაიჯანული და სომხური, სწავლა უნდა დაიწყონ ქართული ენა A2 მოდულით.

2024 წელსაც გაგრძელდა აქტიური თანამშრომლობა სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან ზრდასრული მოსახლეობისათვის მომზადების პროგრამების შეთავაზების გზით. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ორგანიზაციის მხარდაჭერით

დაფინანსდა პროფესიული მომზადების პროგრამები: ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში - ,,ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება“ და N16 პენიტენციურ დაწესებულებაში: ,,ელექტრული მონტაჟი“ და ,,კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით“, ასევე ,,ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება“.

სსიპ კოლეჯმა "მერმისი" ქალთა N5 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისა და დასაქმების მიზნით, განახორციელა პროფესიული მომზადების პროგრამები: "თმის შეჭრისა და ღებვის ხელოვნება" და "ქართული ფარდაგის და ხალიჩის ქსოვა".

2024 წლის საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ იქნა პროფესიული მომზადების 16 პროგრამა, ხოლო სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ 3 მომზადების პროგრამა.

კოლეჯის დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა და ზრდასრულთა განათლების კოორდინატორმა თამთა ლაგვილავამ მსმენელებს გადასცეს სერტიფიკატები.

სამკერვალო საწარმოსთან შპს „ჯეო-ემ-ტექს“ თანამშრომლობით და პროფესიული უნარების სააგენტოსგან მოპოვებული სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, კომპანიის 15 თანამშრომლისათვის 2 ეტაპად განხორციელდა სწავლება პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება“.

2024 წლის სტატისტიკა პროფესიული მომზადების პროგრამების მიხედვით

N	როგრამის დასახელება	მიღების ტიპი	გამოცხადებულიადგილების რაოდენობა	რეგისტრირებულიაპლიკანტები	ჩარიცხულიმსმენელები	კურსდამთავრებულთა რ-ბა	სერტიფიკატიმიიღო	ამჟამადსწავლობს	შენიშვნა
1.	თმის შეჭრისა და ღებვის ხელოვნება	დახურული	10	15	10	9	9		N5 ქალთა პენიტ. დაწ.
2.	ქართული ფარდაგისა და ხალიჩის ქსოვა	დახურული	10	10	10	6	6		N5 ქალთა პენიტ. დაწ.
3.	ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება	დახურული	15	15	15	15	15		შპს ,,ევროტექსი“ თანამშრომლები
4.	ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება	დახურული	11	11	11	8	8		N5 ქალთა პენიტ. დაწ.
5.	ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება	ღია	30	48	25	23	20		
6.	ელექტრული მონტაჟი	დახურული	10	10	10	7	7		N16 პენიტ. დაწეს.
7.	კედლის და იატაკის	დახურული	7	7	7	3	3		N16 პენიტ. დაწეს.

	მოპირკეთება ფილებით								
8.	ტიხრული მინანქრის დამზადების ტექნოლოგია	დახურული	12	11	8	7	7		დასაქმების სააგენტო
9.	ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება	დახურული	10	10	8	6	6		დასაქმეგბის სააგენტო
0.	ქართული ფარდაგის და ხალიჩის ქსოვა	დახურული	10	10	10	5	4		N5 ქალთა პენიტ. დაწ.
1.	ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება	დახურული	15	15	14	14	14		შპს ,,ევროტექსი“ თანამშრომლები
2.	ელექტრული მონტაჟი	ღია	15	35	15	15	14		
3.	კონდიტერიის ხელოვნება	ღია	15	52	15			15	
4.	სასტუმროს მიღება-განთავსების განყოფილების მომსახურება	დახურული	12	12	9			9	დასაქმეგბის სააგენტო
5.	ელექტრული მონტაჟი	დახურული	12	14	12			12	N16 პენიტ. დაწეს.
6.	სურსათის უვნებლობისა და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული უზრუნველყოფარძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში	ღია	12	29	12			12	
	სულ ჯამი:		206	304	191	118	113	48	

განხორციელებული პროექტები

2024 წელსაც კვლავ აქტიურად გაგრძელდა თანამშრომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით დაფინანსებული პროექტის ,,პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“ განხორციელების მიზანს წარმოადგენს თბილისში უმუშევრობის დონის შემცირება, პროფესიული სწავლებით სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა. ასევე, საწარმოების მოთხოვნილებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება.

2024 წლის სტატისტიკა მოკლევადიანი პროგრამების მიხედვით პროექტის „პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“ ფარგლებში

	მოკლევადიანი პროგრამის დასახელება	2024 წლის I და II კვარტალი					2024 წლის IV კვარტალი				
		მისაღები რაოდენობა	რეგისტრირებულთა რაოდენობა	ჩარიცხული მსმენელები	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	სერტიფიკატი მიიღო	მისაღები რაოდენობა	რეგისტრირებულთა რაოდენობა	ჩარიცხული მსმენელები	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	სერტიფიკატი მიიღო
1	ელექტრიკოსი	10	89	10	10	10	11	44	11	11	11
2	ხაზვის 2D CAD სისტემით საინჟინრო ელექტრული სქემების ნახაზების შესრულება	10	61	10	10	5	10	22	10	10	5
3	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	10	97	10	10	10	10	30	10	10	8
4	ტიხრული მინანქარი	10	108	10	10	10	10	30	10	10	10
5	კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების საშუალებით რიცხვით პროგრამული დანადგარების მართვა (CNC და ლაზერული მჭრელი)	10	93	10	10	8	20	31	20	20	10

6	ფილამწყობი	10	55	10	10	8					
7	ტყავის აქსესუარების კერვა	10	120	10	10	10	30	37	30	30	28
8	მზარეული (ქართული და ევროპული სამზარეულო)	20	231	20	20	20	20	88	20	20	18
9	ტორტების დამზადება და მორთვა მარციპანით	10	150	10	10	10	10	57	10	10	9
10	ქალის სტილისტი (შეჭრა, ვარცხნილობები)	10	65	10	10	10					
11	სურსათის უვნებლობა და ხარისხი კვების ობიექტებში	10	172	10	10	10					
12	მსუბუქი ავტომობილის ელექტრონული კვანძების დიაგნოსტირება						10	12	10	10	7
სულ		120	1241	120	120	111	131	351	131	131	106

2024 წელს კვლავ აქტიურად გაგრძელდა თანამშრომლობა საჯარო სკოლებთან. ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში, თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში, 6 საჯარო სკოლაში, განხორციელდა 6 პროფესიული განვითარების უნარების კურსი 12 ჯგუფში და 146 სკოლის მოსწავლე დაეუფლა პროფესიას.

პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსის განხორციელების მიზანს წარმოადგენს მოსწავლემ აღმოაჩინოს საკუთარი უნარები და შესაძლებლობები, ასევე სხვადასხვა სფეროს ინტერესები, რომელსაც მომავალში დანიშნულებისამებრ გამოიყენებს.

მოსწავლემ უნდა დაინახოს, რომ მოკლე პერიოდში შეიძლება დაეუფლოს პროფესიას, შეძლოს დასაქმება (თვითდასაქმება) და ჩამოყალიბდეს თავისუფალ მოქალაქედ დემოკრატიული

საბაზრო ეკონომიკის საქართველოში. ასევე მათი მოტივირება პროფესიული განათლების მისაღებად.

2024 წლის სტატისტიკა თბილისის საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების განვითარების კურსების შესახებ

N	პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსი	სკოლა	ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა	დაასრულა	სერტიფიკატი მიიღო
1	სურსათის უვნებლობისა და ტიხრული მინანქრის სპეციალისტის პროფესიებში	სსიპ სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ არშის საჯარო სკოლა	25	25	25
2	ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდაჭერისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოების სპეციალისტის პროფესიებში	სსიპ მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქ. თბილისის N124 საჯარო სკოლა	24	24	24
3	ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდაჭერისა და სურსათის უვნებლობის სპეციალისტის პროფესიებში	სსიპ ქ. თბილისის N133 საჯარო სკოლა	24	24	24

4	ელექტროობისა და მხატვრული ქსოვის სპეციალისტის პროფესიებში	სსიპ ქ. თბილისის N169 საჯარო სკოლა	24	24	24
5	ტიხრული მინანქრისა და სამკერვალო წარმოების სპეციალისტის პროფესიებში	სსიპ ქ. თბილისის N86 საჯარო სკოლა	24	24	24
6	ტიხრული მინანქრისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოების სპეციალისტის პროფესიებში	სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N2 საჯარო სკოლა	24	24	24
	სულ ჯამი		145	145	145

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯში კონტიგენტის მოძრაობა

N	ასახელება	სწავლობდა	სტატუსი შეუწყდა	სტატუსი შეიჩერა	სტატუსი აღიდგინა	სწავლა დაასრულა	ამჟამად სწავლობს
1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	1173	215	89	34	313	609
2	პროფ. მომზადების პროგრამა	191	25			118	48
3	მერიის პროექტი ,,ისწავლე და დასაქმდი“	251				251	
4	სკოლის პროექტი	145				145	
	ჯამი	**1760**					

2024 წლის განმავლობაში სტუდენტთა/მსმენელთა სახელობითი რაოდენობა

დასახელება	სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა
პროფ. საგანმ. პროგრამები	1173
მერიის პროექტი ,,ისწავლე და დასაქმდი“	191
პროფესიული მომზადების პროგრამები	251
სკოლის პროექტი	145
სულ ჯამი	**1760**

პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებები

2024 წელს კოლეჯმა „მერმისი“ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ადამიანური რესურსის განვითარების კუთხით საიტზე – ვაკანსიები საჯარო სამსახურში (HR.gov.ge) გამოაცხადა:

1. **პროფესიული განათლების მასწავლებელი** - 42 ვაკანსია - სხვადასხვა მოდულზე;

2. **ადმინისტრაციული საშტატო ერთეული** – 20 ვაკანსია (ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, შესყიდვების მენეჯერი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის მენეჯერი, ქსელის ადმინისტრატორი, ჟესტური ენის თარჯიმანი).

სსიპ კოლეჯი ,,მერმისი“ მუდმივად ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანური რესურსების მართვა ორგანიზაციის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხორციელდება სხვადასხვა განმავითარებელი ღონისძიებების მეშვეობით. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა განვითარების აქტივობებში ჩართვით, რაც ხელს უწყობს მათ კარიერულ ზრდას.

კონკურსის შედეგად ადამიანური რესურსის სახით დაწესებულებას დაემატა 30 პროფესიული მასწავლებელი და 13 ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

კოლეჯში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო **101 პროფესიული განათლების მასწავლებლი.**

სსიპ კოლეჯში „მერმისი“ კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. ტრენინგს უძღვებოდა შრომის

უსაფრთხოების აკრედიტირებული ტრენერი გოჩა გელაშვილი. ტრენინგის მიმდინარეობისას განხილულ იქნა საკანონმდებლო რეგულაციები, ხანძრის წარმოშობის სამკუთხედი, ხანძრის კლასიფიკაცია, ქრობის საშუალებები, ცეცხლმაქრის ტიპები, მათი გამოყენება და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ალგორითმი. ტრენინგის დასასრულს განხორციელდა სასწავლო განგაში და ევაკუაცია, ასევე ცეცხლმაქრის გამოყენების პრაქტიკული მეცადინეობა.

სსიპ კოლეჯში „მერმისი“ მიმდინარე წლის 19 ივნისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგი.

ტრენინგს უძღვებოდნენ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთი ციხისელი, შესაძლებლობების გაძლიერების სპეციალისტები ია გიგიბერია და მანანა თურქაძე.

შეხვედრა დაიგეგმა პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში და დიდი ინტერესი გამოიწვია კოლეჯის მასწავლებლებს შორის.

კოლეჯის ადმინისტრაციამ და პროფესიულმა მასწავლებლებმა 2024 წელს გაიარეს შემდეგი ტრენინგები:

N	ტრენინგის დასახელება	თემატიკა	თარიღი, ადგილი	ორგანიზატორი	მონაწილეები
1		პროფესიული პროგრამები - გრძელვადიანი მოკლევადიანი, საფუძვლები, დასაბუთება პსდ ადმინისტრაციული და საინფორმაციო რესურსების მართვა პსდ განათლების ხარისხის მართვა სტრატეგიული განვითარების გეგმა და კოლეჯის მართვა პსდ ბიუჯეტირება, ინფრასტრუქტურა და მოვლა პატრონობა სტუდენტთა კორპუსის მართვა და სტუდენტური სერვისები პსდ ადამიანური რესურსების მართვა პსდ საზოგადოებასთან ურთიერთობა	19-28 მარტი	საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო	ნონა ღუდუშაური
		კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ანალიზის ტრენინგი	აპრილი	პროფესიული უნარების სააგენტო	ლალი ბეშკენაძე
2	ევროკავშირის პროექტი - „კვლევა ერაზმუს+ პროგრამაში საქართველოს მონაწილეობის მიზანშეწონილობის შესაფასებლად და შესაბამისი შესაძლებლობებ		19 აპრილი	ერაზმუს+	თამარ ბერძენიშვილი

	ის გასავითარებლად				
3		ტრენინგი Twining დაკავშირებით		პროფესიული უნარების სააგენტო	ნონა ღუდუშაური, თამარ ბერძენიშვილი, ეკა მჭედლიშვილი, ეთერ მიშელაძე, გიული ახალკაცი, ივანე ჩუტკერაშვილი, ქეთევან ჟორჟოლიანი, მანანა კუპატაძე, ეკა შავდია
4		SBA-ში დაგეგმილი თანამშრომლობითი ვიზიტი	29-30.05.2024	SBA	ნანა ნამგალაძე, მაია დანელია
5		პროფესიულ სასწავლებლებში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დაგეგმვა და განვითარება	10-11,07,2024	პროფესიული უნარების სააგენტო	ციური ცერცვაძე, ეკა მჭედლიშვილი, სოფიკო გვიმრაძე
6	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება		19.06.2024	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	ნონა ღუდუშაური, ნანა ნამგალაძე, თამარ ბერძენიშვილი, ეკა მჭედლიშვილი, ოლღა ციციშვილი, მაია დანელია, ეკა მჭედლიშვილი, ეთერ მიშელაძე ზაზა ადამაშვილი, ნატო გურასპაშვილი, ხათუნა მგელაძე, გიული ახალკაცი, თინა დოლიძე, გოგი ბაზანდარაშვილი, ქეთევან ფანჩვიძე, თამარ ლაღიაშვილი, არსენა საჩალელი, ეთერ ნადარეიშვილი , დალი ფირცხალავა, ნინო მუმლაძე-ბარავკოვი, თამარ სისვაძე, იამზე ნოზაძე, ამნიაშვილი, ოლღა რუხაძე, ვარა გულიკაშვილი, გიორგი ლობჟანიძე, ლია მიქელთაძე, მანანა წერეთელი, ნინო ბოკუჩავა, ანა სააკაძე,

					გურანდა გაბუნია, ქეთევან უზუნაშვილი
7	ტრენინგი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ	ტრენინგის მიმდინარეობისას განხილულ იქნა საკანონმდებლო რეგულაციები, ხანძრის წარმოშობის სამკუთხედი, ხანძრის კლასიფიკაცია, ქრობის საშუალებები, ცეცხლმაქრის ტიპები, მათი გამოყენება და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ალგორითმი. ტრენინგის დასასრულს განხორციელდა სასწავლო განგაში და ევაკუაცია, ასევე ცეცხლმაქრის გამოყენების პრაქტიკული მეცადინეობა.	25.06.2024	სსიპ კოლეჯი „მერმისი“	გულაზიანი, ნამგალაძე, დანელია, ციციშვილი, მჭედლიშვილი ეკა, ბერძენიშვილი, მჭედლიშვილი, ჯარიაშვილი, ნოდარიშვილი, კოროშინაძე, მადურაშვილი, გურასპაშვილი, შიშნიაშვილი, ცხადაია, ქურციკიძე
8		რეგისტრაციის კამპანიის ხელოვნება	26-27 06,2024	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)	თამარ ბერძენიშვილალილი ბეშკენაძე
9		შესავალი მეწარმეობის სწავლებაში	28,07,2024	პროფესიული უნარების სააგენტო	ეკატერინე ბურჯალიანი
10		მზის პანელების მონტაჟთან დაკავშირებით	1-6. 07.2024	გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაციის **Eberhard Schöck Stiftung, Euro solar Georgia-ს და UNDP-ის მხარდაჭერით**	ზაზა ადამაშვილი, არჩილ დოლიძე
11	მშენებლობის და ლოგისტიკის ექსელენს ცენტრის პროექტი	სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით	3.07.2024	საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო	ზურაბ კაჭარავა, რუსუდან გუგუშვილი

12		შესავალი მეწარმეობის სწავლებაში	28,07,2024	პროფესიული უნარების სააგენტო	ბურჯალიანი
13	ჰაბის კოორდინატორის ტრენინგი	მზის პანელების მონტაჟთან დაკავშირებით	1-6. 07.2024	გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაციის **Eberhard Schöck Stiftung, Euro solar Georgia-ს და UNDP-ის მხარდაჭერით**	ადამაშვილი, დოლიძე
14		სასწავლო რესურსებზე, შეფასების მიდგომებზე, სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე	12.07.2024	პროფესიული უნარების სააგენტო ორგანიზაცია PEM CONSULT	ზაზა ადამაშვილი
15		სამუშო შეხვედრა	21-23 სექტემბერი	პროფესიული უნარების სააგენტო	ნონა ღუდუშაური
16		კარიერის განვითარების/ხარისხის განვითარების სამსახური	23-25 სექტემბერი	პროფესიული უნარების სააგენტო	ლ. ბეშკენაძე თამარ ბერძენიშვილი
17		პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგები	9 ოქტომბერი	ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	ღუდუშაური, გურასპაშვილი, ციციშვილი, ცერცვაძე, უგულავა, მჭედლიშვილი, ლაგვილავა, ბერძენიშვილი, ბეშკენაძე, დანელია, მჭედლიშვილი
18		შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების დაგეგმვა და ჩატარება	8-10 ოქტომბერი	GIZ	ნამგალაძე ადამაშვილი
19		სატრენინგო კურსი "რესურს ეფექტური ოპერაციები, მწვანე და ციფრული კომპეტენციების ინტეგრირება პროფესიულ განათლების პროგრამებში"	12 ნოემბერი (ონლაინ) 15-17 ნოემბერი	GIZ	ნამგალაძე ადამაშვილი ლობჟანიძე

20		თანამშრომლობითი ვიზიტი- შუალედური შეფასება	15 ნოემბერი	ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	ღუდუშაური, ნამგალაძე, დანელია, ციციშვილი, უგულავა, თვალთვაძე, ადამაშვილი, ჩუტკერაშვილი მამნიაშვილი
21		ტრენინგი ინკლუზიური განათლების შესახებ, მათი კომპეტენციების გაძლიერების მიზნით	12-13 დეკემბერი	პროფესიული უნარების სააგენტო	გურასპაშვილი, ოდიშვილი
22		კარიერის განვითარების/ხარისხის განვითარების სამსახური	3-6 დეკემბერი	პროფესიული უნარების სააგენტო	ლ. ბეშკენაძე თამარ ბერძენიშვილი
23		„ტურიზმისა და სტუმარ მასპინძლობის სექტორში შრომის უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ ცნობადობის გაზრდა“	9 დეკემბერი	ტურიზმის ასოციაცია	ღუდუშაური ბერძენიშვილი
24		სამუშაო შეხვედრა	19-20 დეკემბერი	პროფესიული უნარების სააგენტო	ნონა ღუდუშაური

სტუდენტური სერვისები

სსიპ - კოლეჯი „მერმისი“ მუმდივად იცავს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ზრუნავს მათი საჭიროებების გამოვლენაზე, სტუდენტური პროექტების განხორციელებაზე და მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობაზე, უქმნის მათ უსაფრთხო სასწავლო გარემოს, უზრუნველყოფს მათ სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს და სხვადასხვა სახის მხარდაჭერის სერვისებს ხარისხიანი განათლების მისაღებად.

ამის ნათელი მაგალითია წარმატებული თანამშრომლობა იურიდიული დახმარების სამსახურთან სტუდენტური სერვისების გაუმჯობესების მიზნით.

სსიპ კოლეჯში „მერმისი“ 2024 წლის 15 თებერვალს სტუმრად იმყოფებოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია და წარმომადგენლები. კოლეჯის დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა სტუმრებს მიაწოდა ინფორმაცია კოლეჯის საქმიანობის შესახებ და გააცნო კოლეჯში განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია შეხვდა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს და მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში მოქმედი უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემისა და იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების

შესახებ. თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა გიორგი ჩაკვეტაძემ ისაუბრა ბიუროს მუშაობის სპეციფიკაზე.

სტუდენტებს ბიუროს უფროსის მოდგილემ, ცირა გამცემლიძემ წარუდგინა პრეზენტაცია "ნარკოდანაშული და აზარტული თამაშები", რომელშიც მიმოხილული იყო აღნიშნული თემატიკის სამართლებრივი რეგულაციები.

სტუდენტები აქტიურად ჩაერთნენ დისკუსიაში, დასვეს შეკითხვები და მიიღეს ამომწურავი პასუხები.

სსიპ კოლეჯი "მერმისი" საუკეთესო ევროპული გამოცდილების გაზიარების, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორისაა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება SES-ი. ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნული ორგანიზაციის არაერთი სხვადასხვა დარგის ექსპერტი იყო მოწვეული კოლეჯში, რაც დადებითად აისახა პროგრამების განვითარებაზე.

საანგარიშო პერიოდში ,,მერმისს“ კვლავ ესტუმრა SES ექსპერტი სენიორ თომას ეუგენ გეორკე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,სასტუმრო მომსახურება“ და ,,სარესტორნო მომსახურება“ სერვისისა და სერვირების მიმართულებით სწავლების ხარისხის ამაღლება და ადამიანური სერვისების განვითარება.

ექსპერტმა კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებაში ჩართულ პედაგოგებსა და პროფესიულ სტუდენტებს გააცნო ევროპული სწავლების მეთოდები. დაესწრო თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, პროფესიულ მასწავლებელ გიორგი ნაყოფიასთან ერთად ჩაატარა მასტერკლასი. SES-ის ექსპერტი თომას ეუგენ გეორკე იმყოფებოდა კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებში „ჰოთელს &პრეფერენს ჰუალინ თბილისი" და „ოტელ თბილისი აქსის თაუერი (პულმანი)", სადაც კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურების სტუდენტები გადიან საწარმოო პრაქტიკას.

ექსპერტის მხრიდან გაცემული რეკომენტაციების შესაბამისად ,,სარესტორნო მომსახურების" პროგრამის განვითარების კუთხით შესრულებული სამუშოები დადებითად იქნა შეფასებული.

არაფორმალური განათლების განვითარების მიზნით, პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით, კოლეჯმა ,,საქართველოს დეკორატიული მცენარეების და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციასთან" ერთად დაასრულა საპილოტე პროექტის „მომავალ მეწარმეთა კლუბის შექმნა" განხორციელება.

პროექტი მიზნად ისახავდა სტუდენტური სივრცეების შექმნას სტუდენტური ცხოვრებისა და სტუდენტური კლუბების განვითარების ხელშესაწყობად.

სკვერი მულტიფუნქციური გახდა, სადაც აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა სალექციო კურსი.

კოლეჯში „მერმისი“ მომავალ მეწარმეთა კლუბი აქტიურად აგრძელებს თავის საქმიანობას.

ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს „სტუდენტური და პრესტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა და განვითარება“ ფარგლებში 2024 წლის 2 აპრილს გაიმართა კლუბის წევრების მორიგი სამუშაო შეხვედრა.



შეხვედრის დროს გაკეთდა მოკლე პრეზენტაცია კლუბის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე, ასევე ერთმანეთს გაუზიარეს იდეები სწავლის დასრულების შემდგომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისა და განხორციელების შესახებ.

გარდა პროფესიული უნარების ჩამოყალიბებისა კოლეჯის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტებს განუვითაროს სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები-კონსტრუქციული თანამშრომლობა, ტოლერანტობა, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია არამარტო პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების მიღწევით, არამედ სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებით, სტუდენტთა ჩართულობით სხვადასხვა ღონისძიებებში, მათ შორის სტუდენტთა/მსმენელთა სპორტული აქტივობების განხორციელებით, თუმცა ამ უკანასკნელის საშუალება სტუდენტებს არ აქვთ, რადგან კოლეჯს არ გაჩნდა სპორტული მოედანი და დარბაზი, არც შესაბამისი სპორტული ინვენტარი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კვლავ აქტიურად გაგრძელდა სტუდენტური სერვისების მხარდაჭერა.

პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით, კოლეჯმა შპს „სერვის გრუფ ინტერნეიშენალი„ სავაჭრო ნიშნით „ვორტექს ფიტნესი“ /ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება) ერთად განახორციელა პროექტი ,,ცხოვრება ჯანსაღი წესით“.

პროექტის მიზანს წარმოადგენდა სპორტული აქტივობებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და სტუდენტების სპორტული შესაძლებლობების რეალიზაციის ხელშეწყობა.

პროექტის მიზნის განხორციელებისათვის შეიქმნა კლუბი “ცხოვრება ჯანსაღი წესით“, ასევე მოეწყო მცირე სავარჯიშო დარბაზი, რომელიც ხელს შეუწყობს მოზარდი სტუდენტების/მსმენელების ფიზიკურ ჩამოყალიბებას, ხოლო ზრდასრული სტუდენტების/მსმენელებისსტუდენტების/მსმენელების ჯანსაღი წესით ცხოვრებას, რაც

ადამიანის ჯანმრთელობის, დღეგრძელობის, სოციალურ ფუნქციათა სრულფასოვანი განხორციელების შესაძლებლობების საწინდარია.



კლუბის წევრებმა გამოცდილი და კვალიფიციური ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით გაიარეს ტრენინგ-კურსი და მიიღეს ცოდნა ფიტნესთან, ცხოვრების ჯანსაღი წესის სხვა სიკეთეებთან და სწორ კვებასთან დაკავშირებით. ხოლო მიღებულ ცოდნას გაუზიარებენ კოლეჯის სტუდენტებს, პროფესიული განათლების მიღების მსურველ ბენეფიციარებს, თემის სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებს და ასევე უზრუნველყოფენ მათ გაწევრიანებას სავარჯიშო დარბაზში მოქმედ ჯგუფებში. კლუბის წევრებმა ასევე მოაწყეს სპორტულ შეჯიბრებები თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწყობილ გარე სპორტულ მოედნებზე. ყველა აღნიშნული აქტივობა ემსახურება პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და მისი იმიჯის ამაღლებას.



სსიპ კოლეჯმა "მერმისი' გაიმარჯვა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს საგრანტო კონკურსში ,,ციფრული საგანმანათლებლო რესურსების განვითარების ხელშეწყობა პროფესიულ განათლებაში“ ორი პროექტით: "ციფრული footprints" და "ტურიზმი და სტუმარმასპინძლობა".

კონკურსის მიზანს წარმოადგენს პროფესიულ განათლებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება მრავალფეროვანი ციფრული სასწავლო რესურსების შექმნის გზით და პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანამშრომლობის გაძლიერება.

სსიპ კოლეჯში ,,მერმისი“ მიმდინარე წლის 16 აპრილს დედაენის დღის კვირეულთან დაკავშირებით ინტეგრირებული მოდულის "კომუნიკაცია ქართულ ენაზე" განმახორციელებელმა პროფესიულმა მასწავლებელმა, ფილოლოგიის დოქტორმა, ხათუნა მაჭავარიანმა, ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტებისთვის ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: "არანორმატიული ლექსიკის მომძლავრებისა და არაჯანსაღი ვერბალური კომუნიკაციის მიზეზები სოციალურ რეალობაში".

საჯარო ლექციას კოლეჯის ,,მერმისი“ პროფესიულ სტუდენტებთან ერთად დაესწრნენ ინფორმაციული ტექნოლოგიის აკადემიის, გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისა და კოლეჯის ,,სპექტრის“ სტუდენტები. შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა. შეხვედრის დასასრულს სტუმარმა სტუდენტებმა დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა და გაეცნენ სასწავლო პროცესს.

სსიპ კოლეჯის „მერმისი“ პროფესიულმა სტუდენტებმა - ქრისტინე ლაგვილავამ, მარიამ გოგიშვილმა, საბა ლევერაშვილმა (სასტუმრო მომსახურება) და ბაია გონგლაძემ (გრაფიკული დიზაინის შესრულება) მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები (ქიმიის კომპონენტი)“ განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებელ ია ზირაქიშვილის ხელმძღვანელობით

მიმდინარე წლის 19 მაისს მონაწილეობა მიიღეს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში გამართულ მოსწავლეთა და მასწავლებელთა ყოველწლიურ კონფერენციაში "ოქროს რიცხვი-2024".

კოლეჯის სტუდენტებმა სსიპ ქ თბილისის 71-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად წარადგინეს ერთობლივი პროექტი "საპნის დამზადება და მისი ეფექტიანობის დადგენა", რომელზეც საინტერესოდ მიმდინარეობდა გუნდური მუშაობა, იდეების გაცვლა, პრაქტიკული საქმიანობა როგორც კოლეჯის, ასევე სკოლის ლაბორატორიებში.

სსიპ კოლეჯში „მერმისი“ 14 ივნისს , შშმ პირების უფლებების დაცვის დღეს, ასოციაციას „ანიკა“ წარმომადგენლებმა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს წარუდგინეს პრეზენტაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალური იზოლაციის დაძლევის, საზოგადოებაში მათ მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების რღვევისა და მათი რეალური შესაძლებლობების წარმოჩენის შესახებ.

პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია კითხვა - პასუხის რეჟიმში, სადაც აქტიურად იყვნენ ჩართულები კოლეჯის სტუდენტები და განიხილავდნენ იმ პრობლემებს, რასაც შშმ პირები აწყდებიან საზოგადოებაში ყოველდღიურად.

ამ დღესთან დაკავშირებით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ კოლეჯის „მერმისი“ და ასოცოაციის „ანიკას“ შორის.

სსიპ კოლეჯის "მერმისი" პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის "სარესტორნო მომსახურება" (ჯგუფი N02-2021) პროფესიული სტუდენტები მოდულის "ღონისძიების ორგანიზება" ფარგლებში ესქკურსიაზე იმყოფებოდნენ კოლეჯის პარტნიორ კომპანიაში - სასტუმრო

პრეფერენს ჰუალინგში.

სსიპ კოლეჯში „მერმისი“ სტუდენტური ინიციატივის მხარდასაჭერად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარიის ხელოვნება“, „კონდიტერია“ და “სასტუმრო მომსახურება“ პროფესიული სტუდენტების ჩართულობით და პროფესიული მასწავლებლის ეთერ ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით გაიმართა სემინარი, რომელიც ეხებოდა განსაკუთრებით საშიში ინფექციების გავრცელების საფრთხისა და საკვებით და წყლით გავრცელებადი ინფექციების პრევენციის საკითხებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ კოლეჯის სხვადასხვა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სტუდენტები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

სსიპ კოლეჯი „მერმისი“ ყოველწლიურად უერთდება ჭრელი წინდების კამპანიას.

წლევანდელ გზავნილს "ერთად დავასრულოთ სტერეოტიპები" კოლეჯის ადმინისტაცია და სტუდენტები შეურთდნენ.

2 აპრილს აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სსიპ კოლეჯში „მერმისი“ გაიმართა ღონისძიება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თმის მომსახურება“ პროფესიულმა სტუდენტებმა პროფესიული მასწავლებლის ეკა თაბუაშვილის ხელმძღვანელობით მოდულის „სამოქალაქო განათლება“ ფარგლებში წარმოადგინეს პრეზენტაცია და ისაუბრეს შშმ პირების ინტეგრაციის მნიშვნელობაზე ,საზოგადოებაში არსებულ სტიგმასა და პრობლემებზე.

ღონისძიებას დაესწრო კოლეჯის ადმინისტრაცია, სტუდენტები და სსიპ გოგიტა კიკნაძის სახელობის ქალაქ თბილისის N182-ე სკოლის მოსწავლეები.

კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ სტუდენტმა თამარ ხიმშიაშვილმა შეასრულა რამდენიმე სიმღერა ჟესტურ ენაზე.

ღონისძიებაზე ასევე წარმოდგენილი იყო კოლეჯის ხელოვნების მიმართულების სტუდენტების ნამუშევრები.

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით, ანაკლიაში ახალგაზრდული ბანაკში გაიგზავნენ კოლეჯის პროფესიული სტუდენტები.

ბანაკის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და გუნდურად მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

კოლეჯის პროფესიული სტუდენტები ჩაერთნენ სპორტულ და შემეცნებით ღონისძიებებში. საბანაკე პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები განხორციელდა არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიითა და ახალგაზრდული საქმიანობის პრინციპების გათვალისწინებით. ახალგაზრდებისთვის ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა თემაზე.

სლოვაკეთის საელჩოს მხარდაჭერით სსიპ კოლეჯში "მერმისი" სტაჟირებისა და შემდგომი დასაქმების მიზნით სტუმარმასპინძლობის მიმართულების პროფესიული სტუდენტებთან სამუშაო შეხვედრა გამართა სტრახან ჯგუფის მფლობელმა მისტერ იაროსლავ სტრახანმა, აღმასრულებელმა მენეჯერმა იაროსლავ ძიაკმა და სლოვაკეთის საელჩოს ეკონომიკისა და კულტურის კოორდინატორმა მიხალა ლომიძემ.

სსიპ კოლეჯში „მერმისი“ ადმინისტრაციისა და პროფესიული სტუდენტებისთვის მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა.

ორგანიზაციის წარმომადგენელმა ელენე მიროტაძემ შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა ინფორმაცია სამსახურის საქმიანობის შესახებ. მომხმარებლებს გააცნო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები, კომპანიების ვალდებულებები, საჩივრის/განცხადების განხილვის წესები და ვადები, აგრეთვე დარგში შემავალი სხვა საკითხები.

კოლეჯში "მერმისი" სტუმართმასპინძლობის მიმართულების პროფესიულ სტუდენტებთან სამუშაო შეხვედრა გამართა სტუმარმასპინძლობის სფეროში ACCOR-ის ქსელის სასტუმროების: Tbilisi Philharmonic by Mercure, Tbilisi Saburtalo by Mercure და ibis Styles Tbilisi Center- HR დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მაგდა ცხადაძემ, რომელმაც სტუდენტებს შესთავაზა სასტუმროში აქტიური ვაკანსიები შემდგომი დასაქმების მიზნით.

სსიპ კოლეჯში "მერმისი" ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით 27-28 ნოემბერს ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა, რომელშიც მონაწილეობდნენ კოლეჯის პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლები.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება

სსიპ კოლეჯი „მერმისი“ მუდმივად ზრუნავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებასა და შევსებაზე.

2024 წელს კოლეჯის მიერ შეძენილია 60 ცალი მაგიდის კომპიუტერი, 60 ცალი ლეპტაპი, 10 ცლი შავ-თეთრი პრინტერი (კომბაინი), 10 ცალი კომპიუტერის დენის წყარო, 5 ცალი პროექტორი, სააქტო დარბაზისთვის შეძენილია ხმის გამაძლიერებელი მიკროფონებით, რაშიდაც კოლეჯის მიერ გახარჯულია 242314, 00 ლარი.

კოლეჯში განახლდა კომპიუტერული ქსელი, შეძენილი და დაყენებული იქნა ახალი ქსელის აპარატურა - ქსელის მარრუტიზატორები და როუტერები, შეცვლილი იქნა კვების ბლოკი, რომელშიც გახარჯული იქნა 13638,0 ლარი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების: „კულინარიის ხელოვნება“ და „კონდიტერია“ შეძენილი იქნა 4 ცალი ინდუქციური ქურა, 4 ცალი სტაციონალური მიქსერი, 8 ცალი ბლენდერი, 5 ცალი ელექტრო სასწორი, 8 ცალი ელექტრო ქურის კომფორი, რაზედაც გახარჯული იქნა 12463,0 ლარი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“-სთვის შეძენილი იქნა 4131,0 ლარის ჭურჭელი.

პროგრამა „სამკერვალო წარმოებისთვის“ შეძენილი იქნა 5 ცალი ახალი თანამედროვე საკერავი მანქანა, 2 ცალი ორთქლის უთო და 3 ცალი ქსოვილის სისქის მზომი, რაშიდაც კოლეჯის მიერ გადახდილია 10330,0 ლარი.

2024 წელს კოლეჯის მიერ შეძენილია ასევე სხვადსხვა ავეჯი და ინვენტარი. კერძოდ შეძენილია 4 ცალი ბაღის სკამი, სააქტო დარბაზისთვის შეძენილია 10 ცალი სააქტო დარბაზის სკამი, შეძენილია 3 ცალი მაგიდა პანელური დისკუსიისთვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურებისთვის“ ოთახისთვის შეძენილია 26 ცალი სკამი, კოლეჯის საწყობის შენობისთვის შეძენილი იქნა 8 ცალი მეტალის სტელაჟი, შეძენილი იქნა ასევე 18 ცალი ვენტილიატორი და 5 ცალი ალუმინის კიბე, რომელშიც კოლეჯის მიერ გახარჯულია 25444,0 ლარი.

კოლეჯის ტრენაჟორების დარბაზისთვის დამატებით შეძენილია 2723,0 ლარის სპორტული ინვენტარი. კოლეჯის ბიბლიოთეკისთვის შეძენილია 1380 ლარის წიგნები.

2024 წელს კოლეჯის სასწავლო კორპუსის №1 შენობის უკანა მხარეს გასასვლელი დაზისნებული 2 ცალი ალუმინის კარებები შეიცვალა ახალი ალუმინის კარებებით, რაზედაც კოლეჯის მიერ გახარჯულია 4300, 0 ლარი.

კოლეჯის შენობის ფანჯრებზე დაყენებული იქნა მწერებისგან დამცავი ბადეები რაზედაც გაიხარჯა 2104,0 ლარი.

კერძო სექტორთან თანამშრომლობა

კოლეჯი, თავისი მისიის განხორციელების მიზნით, მუდმივად თანამშრომლობს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან, რაც გულისხმობს შეხვედრების ორგანიზებას, გამოცდილების გაზიარებას, მათ ჩართულობას კოლეჯის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების, პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობას, სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფას, სტაჟირებასა და შემდგომ დასაქმებას.

სსიპ კოლეჯში „მერმისი“ კერძო სექტორთან თანამშრომლობის მხარდაჭერის მიზნით სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე მაგდა ბოლოთაშვილი და პროფესიული განათლების მრჩეველი ზაირა ბერიძე.

სტუმრები ვიზიტის ფარგლებში გაეცნენ კოლეჯის ინფრასტრუქტურას, დაათვალიერეს სასწავლო სახელოსნოები და მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია კოლეჯში განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

გაფორმდა მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: შპს „აპიკალ კონსულტინგ ჯეორჯია“, შპს „კოფთა“, შპს „ჯინო პარკი“, შპს „სამი ჯგუფი“, შპს „სიტი ემ“, შპს „ჰოტელს ენდ პრეფერენს ნუალინგ თბილისი“, შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“, შპს „ფიქრის გორა“ (სასტუმრო სეფია), შპს „ბაუფლექსი“, შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია“, შპს „უნიფორმები“, შპს „ნეოტექი“, შპს „პურიგულიანი“, შპს „ლთბ“, შპს „ჯეო გაზი“, ი/მ ნანა მიქაძე, ი/მ დავით გრიგორიანი, შპს „კონდი“, შპს „ჯი ემ თი მთაწმინდა“, შპს „კოსმო“, შპს „პრემიერა ტმ“, შპს „ელ თი“ (ლექსუს ცენტრი), შპს „ჰოტელ აქსის თაუერსი“ (პულმანი), შპს „ორქიდეა“ და სხვა

საანგარიშო პერიოდში დასაქმების თაობაზე ვაკანსიები შემოვიდა 465 კომპანიიდან.

კოლეჯის კურსდამთავრებულები დასაქმდნენ:

- შპს ,,გალფი“ – 3 კურსდამთავრებული ელექტრიკოსის პოზიციაზე;
- ასოციაცია ,,ქართული რეწვა“ – 3 კურსდამთავრებული დიზაინერებად;
- სამხატვრო გალერეა ,,ორნამენტი“ – 2 კურსდამთავრებული მომინანქრების პოზიციაზე;
- სასტურმო ,,ბილთმორი“ – 5 კურსდამთავრებული ჰაუსქიფინგის პოზიციაზე;
- შპს ,,ლეკოფსი“ – 1 კურსდამთავრებული ფეხსაცმლის დიზაინერის პოზიციაზე;
- სს ,,საქართველოს ბანკი“ – 1 კურსდამთავრებული მომხმარებელთა მხრდაჭერის უფროსი სპეციალისტის პოზიციაზე,
- შპს ,,ჯეომეტექსი“ - 10 კურსდამთავრებული მკერავის პოზიციაზე;
- სამკერვალო საწარმო ,,თამუნა ინგოროყვა“ - 1 კურსდამთავრებული მენეჯერის პოზიციაზე;
- სხვადასხვა სილამაზის სალონებში - 16 კურსდამთავრებული სტილისტის პოზიციაზე;
- სასტუმროში "ქორთიარდ მარიოტი" – 2 კურსდამთავრებული კონდიტერის პოზიციაზე,
- სასტუმრო „შერატონი“ – 2 კურსდამთავრებული მზარეულისა და კონდიტერის პოზიციაზე;
- სამშენებლო კომპანია ,,ლეველი“ – 1 კურსდამთავრებული ოფისის-მენეჯერის პოზიციაზე;
- გარემოს დაცვის სამინისტრო - 1 კურსდამთავრებული ოფისის-მენეჯერის პოზიციაზე;
- სადისტრუბაციო კომპანიაში - 1 კურსდამთავრებული ოფისის-მენეჯერის პოზიციაზე;
- შპს ,,ჯორჯია“ - 1 კურსდამთავრებული ოფისის-მენეჯერის პოზიციაზე;
- სავაჭრო ცენტრი ,,ჯიბე“ - 1 კურსდამთავრებული ოფისის-მენეჯერის პოზიციაზე;
- სხვადასხვა კვების ობიექტებზე - 6 კურსდამთავრებული მზარეულის პოზოციაზე;
- რესტორანი ,,ლისი“ - 1 კურსდამთავრებული მზარეულის პოზიციაზე;
- კაფე აპეტაისი - 1 კურსდამთავრებული მზარეულის პოზიციაზე;

- რესტორანი ,,მექსიკა“ - 1 კურსდამთავრებული მზარეულის პოზიციაზე;
- სასტუმრო ჰოლიდეი - 1 კურსდამთავრებული მზარეულის პოზიციაზე;
- რესტორანი ,,საირმე“ - 1 კურსდამთავრებული შეფის მოადგილის პოზიციაზე;
- თბილისის N100 საჯარო სკოლა - 1 კურსდამთავრებული საქმისწარმოების პოზიციაზე;
- შპს ,,ე.დ.ე“ - 1 კურსდამთავრებული სერვის მენეჯერის პოზიციაზე;
- შპს ,,გორგია“ - 1 კურსდამთავრებული საქმისწარმოების პოზიციაზე;

კოლეჯი ,,მერმისი“ ხშირად არის საკუთარი კურსდამთავრებულების დამსაქმებელი.

2024 წელს კოლეჯის სამი კურსდამთავრებული დასაქმდა კოლეჯში: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საოფისე საქმე“ – 2 კურსდამთავრებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტის პოზიციაზე და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება“ – 1 კურსდამთავრებული პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე.

ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფინანსებული პროფექტის ,,ისწავლე და დასაქმდი“ პროექტისა და ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების ,,პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში, კოლეჯის კურსდამთავრებულები დასაქმდნენ მოკლევადიანი პროგრამების განმახორციელებელ მასწავლებლებლად.

სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან გაიმართა შეხვედრები კომპანიებთან, რომლებმაც სტუდენტებს გააცნეს კომპანიებში დასაქმების შესაძლებლობები და მიმდინარე ვაკანსიები.

2024 წლის 22 თებერვალს სსიპ კოლეჯის "მერმისი" დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა, შპს „ელიტ მოტორსი“ დამფუძნებელმა, გენერალური დირექტორმა ზვიად ანთელიძემ და კომპანიის წარმომადგენლებმა გამართეს სამუშაო შეხვედრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "სავალი ნაწილის შეკეთება", "ძრავას შეკეთება" და "მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების" პროფესიულ სტუდენტებთან მათი შემდგომი დასაქმებისა და კარიერული წინსვლის მიზნით.

სსიპ კოლეჯში "მერმისი" სასტუმრო და კაფე "სტამბას" ადამიანური რესურსების მართვის ლიდმა სალომე კალანდარიშვილმა და კაფე-ბარი "ლოლიტას" ადამიანური რესურსების მართვის ლიდმა ნუცა ფეტვიაშვილმა კოლეჯის სტუმართმასპინძლობის პროგრამების კურსდამთავრებულებთან და პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. სტუმრებმა მიაწოდეს ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა.

სსიპ კოლეჯში "მერმისი" სტუმრად იმყოფებოდნენ სსიპ დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს თბილისის სერვის ცენტრის ხელმძღვანელი ბექა ბურჭულაძე და სააგენტოს წარმომადგენლები. სტუმრები შეხვდნენ კოლეჯის დირექტორს ნონა ღუდუშაურს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და პროფესიულ სტუდენტებს, გააცნეს სააგენტოს მუშაობის სპეციფიკა და მიაწოდეს ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ.

სსიპ კოლეჯში "მერმისი" სტუმარმასპინძლობის მიმართულების პროფესიულ სტუდენტებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს სასტუმრო "რუმსის" ტრენინგებისა და განვითარების მიმართულების კოორდინატორმა ქეთევან საურმა და შერჩევის მიმართულების ოფიცერმა მარიამ კაპამაძემ, რომლებმაც სტუდენტებს გააცნეს სასტუმროს მიმდინარე ვაკანსიები სხვადასხვა პოზიციზე.

სსიპ კოლეჯის "მერმისი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კულინარიის ხელოვნება" და პროფესიული მომზადების პროგრამის "ქართული სამზარეულოს ძირითადი

კერძების დამზადება" სტუდენტებსა და მსმენელებს შეხვდა შპს "ჯი ემ თი მთაწმინდას" ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ნინო ნანიკაშვილი და მიაწოდა ინფორმაცია საწარმოო პრაქტიკისა და კომპანიაში არსებული ვაკანსიების შესახებ.



ხარისხის უზრუნველყოფა

კოლეჯი აქტიურად მუშაობს ხარისხის განვითარების კუთხით. სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით განხორციელებულ იქნა შემდეგი აქტივობები:

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით:

- განხორციელდა მიმდინარე მეცადინეობების თემატიკის კალენდარული გეგმების თემატიკასთან შესაბამისობის მონიტორინგი. შემოწმებულ იქნა კოლეჯის 77 მასწავლებელი. ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა არსებული მდგომარეობა და უზრუნველყოფილ იქნა კოლეჯის სტუდენტების დასწრების მაჩვენებლის გაუმჯობესება;
- განხორციელდა 2024 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის ინიცირება;
- კოლეჯის რეავტორიზაციის მიზნებისათვის შევსებულ იქნა 7 ახალი პროგრამის მიზანშეწონილების დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი და გაგზავნილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში პროგრამის დამატებისა და განხორციელების თანხმობის მიღების მიზნით;
- დამტკიცდა 11 მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამა ქ. თბილისის მერიის მიერ საგაზაფხულო ნაკადისათვის განსახორციელებელი პროექტისათვის „ისწავლე და დასაქმდი“;
- დამტკიცდა „ქართული ფარდაგისა და ხალიჩის ქსოვის“ პროფესიული მომზადების პროგრამა;
- შეცვლილ და განხილულ იქნა „საოფისე საქმის“ პროგრამის სასწავლო გეგმა; ინიცირებულ იქნა „ვებტექნოლოგიების“ ინტეგრირებული პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის ინიცირება; დამტკიცდა „ვეზტექნოლოგიების“ ინტეგრირებული პროფესიული პროგრამის შეცვლილი სასწავლო გეგმა;

- განხორციელდა 7 ახალი პროგრამის დამატების ინიცირება;
- ჩატარდა სტუდენტების საბოლოო გამოკითხვა პროგრამის განხორციელების შეფასების კითხვარით შემდეგი სპეციალობების ჯგუფებში: „იატაკისა და ფილის სამუშაოები“, ჯგ. N12-2022, „კონდიტერია“, ჯგ. N29-2022, „კულინარიის ხელოვნება“, ჯგ. N23-2022, ჯგ. N24-2022, ჯგ. N25-2022, „თექის დამზადება“, ჯგ. N07-2019, „მხატვრული ქსოვა“, ჯგ. N08-2022;
- ჩატარდა სტუდენტების საბოლოო გამოკითხვა პროგრამის განხორციელების შეფასების კითხვარით 4 ჯგუფში;
- ჩატარდა მასწავლებლების გამოკითხვა პროგრამის განხორციელების შეფასების კითხვარით.
- ჩატარდა „ელექტროობის“, „თმის მომსახურების“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის“, „კონდიტერიის“, „იატაკისა და ფილის სამუშაოების“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, ,,მომინანაქრება“, „მხატვრული ქსოვის“, „ფეხსაცმლის და ტყავის ნაკეთობათა“, „თექის დამზადება“, „სამკერვალო წარმოების“, „ბუღალტრული აღრიცხვის“, „ხის მხატვრული დამუშავების“ პროგრამების შუალედური შეფასების მონაწილე პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შუალედური შეფასების დადასტურების პროცესი ჩატარდა გამჭვირვალედ, ობიექტურად და სამართლიანად. შეფასებისას ყველა სტუდენტი იმყოფებოდა თანაბარ პირობებში. პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებები იყო სანდო, ვალიდური;
- პირველ კვარტალში ჩატარებული სამუშაოების შედეგად სტატუსი აღუდგა 9 სტატუსშეჩერებულ პირს, მათ შორის 1 პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებულ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, კოლეჯის 2 სსსმ/შშმ პირისათვის შემუშავებულ და განხილულ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- მეორე კვარტალში ჩატარებული სამუშაოების შედეგად სტატუსი აღუდგა 2 სტატუსშეჩერებულ პირს;
- მესამე კვარტალში ჩატარებული სამუშაოების შედეგად სტატუსი აღუდგა 3 სტატუსშეჩერებულ პირს; მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებულ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ერთი სტატუსაღდგენილი პირისათვის შემუშავებულ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- მეოთხე კვარტალში ჩატარებული სამუშაოების შედეგად სტატუსი აღუდგა ორ პირს. ერთი სტუდენტისთვის შემუშავებულ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით მოთხოვნილ იქნა საკონფერენციო დარბაზისათვის ფარდაროლერები და ბანერი, კოლეჯის აუდიტორიებისათვის და სახელოსნოებისათვის ელექტრონული კედლის საათები

- მხარდაჭერილ იქნა სტუდენტების ინიციატივა სემინარის/საინფორმაციო შეხვედრის ჩატარების შესახებ;
- უზრუნველყოფილ იქნა „ვებტექნოლოგიების“ ინტეგრირებული პროგრამის N01-2021 და N02-2021 „სარესტორნო მომსახურების“ პროგრამის ჯგუფების სტუდენტების ზოგადი ინტეგრირებული მოდულების სწავლის შედეგების დადასტურების/მტკიცებულებების ვერიფიკაციის სამუშაოები. გაფორმებულია შესაბამისი ოქმები დანართებით.
- ავტორიზაციიის 5 სტანდარტის მიხედვით პილოტირების რეჟიმში შევსებულ იქნა 360°-იანი თვითშეფასება პორტალზე strege.co (შერჩეულ იქნა ორი პროგრამა: საოფისე საქმე და სამკერვლო წარმოება). თვითშეფასება ასევე შეავსეს აღნიშნული პროგრამების 2 სტუდენტმა, 2 მასწავლებელმა და 2 პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლებმა.
- მონაწილეობა მივიღე 29-30 მაისს SBA ჩატარებულ თანამშრომლობით ვიზიტში თემაზე: „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირება“.
- მონაწილეობა მივიღე ვორქშოპში თემაზე: „შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება“ 2024წ. 15-17 ნოემბერი, გერმანიის თანამშრომლობა, giz, კაჭრეთის ამბასადორი. ვორქშოპის მიზანი: „ელექტროობის“, კულინარიის ხელოვნების“, „სასტუმრო მომსახურების“, „მეყალიბეს“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შუალედური შეფასების მატრიცების შემუშავება.

პროფესიული განათლების პოპულარიზაცია

სსიპ კოლეჯში "მერმისი" სტუმრად იმყოფებოდნენ სსიპ ქ. თბილისის საჯარო სკოლის ხელმძღვანელები.კოლეჯის "მერმისი" დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა სტუმრებს მიაწოდა ინფორმაცია კოლეჯის მიერ განხორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და დაათვალიერებინა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტუმრები გაესაუბრნენ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ მასწავლებლებსა და ჩართულ სტუდენტებს.

სსიპ კოლეჯში „მერმისი“ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა და განვითარების” ფარგლებში გამარჯვებული პროექტის - „ცხოვრება ჯანსაღი წესით“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ა(ა) იპ პროფესიული უნარების სააგენტოს შეფასებისა და მხარდაჭერის სპეციალისტი კლეოპატრა ქარუმაშვილი, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლები თამარ სიბოშვილი და დიკა ბერუჩაშვილი, ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ანდღულაძე, გამგებლის მოადგილეები და გამგეობის წარმომადგენლები, ა(ა)იპ „საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციის თავჯდომარე ნინო ხარხელაური და შპს „ჰელსი გრუპ თბილისი“ წარმომადგენელი, ნუტრიციოლოგი თორნიკე ენუქიძე.

ღონისძიებაზე კოლეჯის სტუდენტმა ნინო გერგაულმა წარმოადგინა პრეზენტაცია პროექტის მიმდინარეობის შესახებ, ასევე განხორციელდა ვიდეო კლიპის ჩვენება, რომელიც ასახავდა პროექტის მსვლელობას. მონაწილეებმა შეაჯამეს პროექტის აქტივობები, ისაუბრეს არაფორმალური განათლების მნიშვნელობაზე, პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფასა და მეწარმეობის კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობებზე. სტუმრებმა დაათვალიერეს პროექტის ფარგლებში მოწყობილი სპორტული დარბაზი.

სსიპ კოლეჯმა "მერმისი" ქ. თელავში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე წარმოადგინა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრები.

ღონისძიების ფარგლებში "მერმისის" პავილიონი დაათვალიერეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველმა მოადგილე ალექსანდრე წულაძემ და მოადგილეებმა – ნოდარ პაპუკაშვილმა და გელა გელაძემ, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თამარ კვინიკაძემ, პროფესიული უნარების სააგენტოს ხელმძღვანელმა ირინე მარგიშვილმა და წარმომადგენლებმა, პარლამენტის წევრმა ირაკლი ქადაგიშვილმა, აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა მეუფე დავითმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და უცხოელმა სტუმრებმა.

სსიპ კოლეჯში "მერმისი" სტუმრად იმყოფებოდნენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა, უფროსის მოადგილე ვასილ ქარსელაძე, განყოფილების უფროსი სოფო უგრეხელიძე და სამსახურის სხვა წარმომადგენლები.

სსიპ კოლეჯის "მერმისი" დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა სტუმრებს დაათვალიერებინა კოლეჯი და გააცნო სასწავლო პროცესი.

პროფესიულ მასწავლებელთა საერთაშორისო ვიზიტის ფარგლებში სსიპ კოლეჯში "მერმისი" პროფესიული უნარების სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად სტუმრად იმყოფებოდნენ იტალიის კოლეჯ ,,კომეტას" პრეზიდენტი ალექსანდრო მელე და ასისტენტი ტერესა სალვინო.

სტუმრებმა დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა, გაეცნენ კოლეჯში განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და დასახეს სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოში მოქმედი სახელმწიფო კოლეჯების ხელმძღვანელი პირები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

სსიპ კოლეჯმა "მერმისი" ოქტომბრის თვეში მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგანტოს მიერ ორგანიზებულ პროფესიული განათლების საერთაშორისო კვირეულში, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საერთაშორისო დონეზე პარტნიორობის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად გაიმართა.

კვირეულში მონაწილეობდა ათი ქვეყნის: ესპანეთი, ლიეტუვა, გერმანია, ესტონეთი, ლატვია, უნგრეთი, პოლონეთი, საბერძნეთი, თურქეთი და ჩინეთის პროფესიული განათლების წარმომადგენლები.

ღონისძიებაზე კოლეჯის "მერმისი" მიერ წარმოდგენილი იყო როგორც ხელოვნების, ასევე სტუმართმასპინძლობის მიმართულების პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების ქვეპროგრამის მხარდაჭერით, სსიპ კოლეჯ „მერმისმა“ რიგით მესამე თანამშრომლობით ვიზიტს უმასპინძლა, რომლის მიზანი იყო ურთიერთშეფასებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება თემაზე: „შუალედური შეფასების ორგანიზება“.

თანამშრომლობით ვიზიტში ვიზიტორი დაწესებულებების სტატუსით მონაწილეობდა, საქართველოს მასშტაბით, 25 საჯარო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 44 წარმომადგენელი.

თანამშრომლობითი ვიზიტის ფარგლებში კოლეჯმა „მერმისმა“ ვიზიტორი დაწესებულების წარმომადგენლებს წარუდგინა პრეზენტაცია შუალედური შეფასების ორგანიზების თავისებურებებზე, რისკებზე, დადებით მხარეებსა და პროცედურებზე.

პრეზენტაციის დროს ხაზი გაესვა შუალედური შეფასების როლს სწავლების ხარისხის ამაღლებისა და პროგრამის შეფასების პროცესში. აგრეთვე გამართა ექსკურსია ვიზიტორთათვის კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მიმდინარე პროცესების გაცნობის მიზნით.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა პანელური დისკუსიები ვიზიტის მასპინძელი დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან.

სსიპ კოლეჯში „მერმისი“ სტუმრად იმყოფებოდნენ უნგრეთის რესპუბლიკის Felcsúti Letenyey Lajos High School - სა და Kiskunhalas Vocational Training Center დაწესებულებების დირექტორები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი სოფიო ბუჯიაშვილი და დონორებთან თანამშრომლობის კოორდინატორი მარიკა ღვამიჩავა.

სტუმრებმა პრეზენტაციის სახით მიიღეს ინფორმაცია კოლეჯის „მერმისი“ შესახებ და ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობაზე. ასევე დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა და გაეცნენ სასწავლო პროცესს.